03.12.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეცხრე, 2014 წლის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- ინფორმაცია 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ

  გიორგი კლდიაშვილი, ფორუმის მომხსენებელი
- ვალდებულებების შესრულების პროგრესი:
  - სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო (მოქალაქის პორტალის განვითარება; DATA.GOV.GE)
  - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (განათლების სერვისები სსგს-სა და იუსტიციის სახლში; ციფრული ხელმოწერა და ავთენტიფიკაცია; საჯარო ბიბლიოთეკების განვითარება)
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები

  შოთა ჩაჩხუნაშვილი, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი - გადაწყვეტილების მიღება
- OGP კომუნიკაციის სტრატეგია - იდეების განხილვა
- დონორთა მხარდაჭერა - უწყებათა საჭიროებების განხილვა

2. ინფორმაცია 2014 წელს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ

ფორუმის თანამომხსენებელმა გიორგი კლდიაშვილმა ფორუმს კიდევ ერთხელ წარუდგინა განახლებული პრეზენტაცია პასუხისმგებელი უწყებების მიერ 2014 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ. ბატონი კლდიაშვილის შეფასებით ამ ეტაპზე წარმატებით განხორციელებულია შემდეგი

ვალდებულებები: ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება; შსს-ს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსინათლოთათვის; პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში; მომხმარებლის ხმა. ფორუმის მომხსენებელმა შეუსრულებელ ვალდებულებებს შორის დაასახელა: სადაზღვევო სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლში; „JUSTdrive“-ს ამოქმედება; რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით (პროცესი მიმდინარეობს ვადების მცირედი დარღვევით); საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე და მიუკერძოებელი წესების შემუშავება (HR.GOV.GE-ზე არ არის დამატებული ახალი ფუნქციები).

პრეზენტაციის დასასრულს, გიორგი კლდიაშვილმა კიდევ ერთხელ, მოკლედ მიმოიხილა ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის შედეგები, ფორუმთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმი სამაგალითოა OGP-ის წევრი ქვეყნებისთვის, რაც სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზეც აღინიშნება.

3. ვალდებულებების შესრულების პროგრესი

ფორუმის მე-9 შეხვედრაზე ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ ისაუბრეს სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა (შემდგომში - სააგენტო) და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა. სააგენტოს წარმომადგენელმა ბატონმა ნიკოლოზ გაგნიძემ ისაუბრა ღია მონაცემთა პორტალის - my.gov.ge - შემუშავების ვალდებულებაზე და აღნიშნა, რომ პორტალი შემუშავებული და გამოქვეყნებულია. პირველი ეტაპისთვის მასზე 15 მონაცემთა ცხრილია განთავსებული და მონაცემთა დამატება კვლავაც მიმდინარეობს. სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ღია მონაცემები მიღებულია 22 საჯარო დაწესებულებისგან, მხოლოდ 3-მა უწყებამ უპასუხა მოთხოვნას უარით ასეთი მონაცემების არქონის გამო, ხოლო 20 უწყებისგან მონაცემთა გაცვლის სააგენტო კვლავ ელის ინფორმაციის მიღებას. სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგეგმება სასწავლო ტრეინინგის გამართვა data.gov.ge-ის მოხმარების შესახებ. ტრეინინგში საჯარო უწყებების შესაბამისი პასუხისმგებელი პირები მიიღებენ მონაწილეობას (100-მდე მონაწილე), რათა მათ შეძლონ პორტალის დამოუკიდებლად გამოყენება და მასზე განსათავსებელი მონაცემების სწორად მომზადება და განთავსება. მზადდება ასევე სახელმძღვანელო დოკუმენტიც, რომელიც კიდევ ერთი დამხმარე საშუალება იქნება პროცესის მონაწილე მხარეებისთვის. სააგენტოს წარმომადგენელმა ფორუმს დახმარება სთხოვა ტრეინინგზე დაინტერესებული პირების მოწვევაში. სააგენტოს მიერ გეგმის ფარგლებში აღებული კიდევ ერთი ვალდებულების - მოქალაქეთა პორტალის (My.gov.ge) შესახებ ბატონმა გაგნიძემ აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს პორტალის დახვეწა და მასზე ახალი სერვისების დამატება, მაგალითად, პორტალზე უკვე ინტეგრირდა აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისი, ხოლო ამ ეტაპზე სააააგენტო მუშაობს მუნიციპალიტეტების 10-მდე სერვისის ინტეგრირებაზე.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის ქალბატონი ნანა წიკლაურის თქმით, ვადების დაცვით მიმდინარეობს ციფრული ხელმოწერისა და ავთენტიფიკაციის სისტემის განვითარების ვალდებულება; მცირედი შეფერხებაა ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის ვალდებულების განხორციელების ვადებთან დაკავშირებით ტენდერების ჩავარდნის გამო, თუმცა სარემონტო სამუშაოები დასრულების ეპატს უახლოვდება ორ საპილოტე ბიბლიოთეკაში და იანვრიდან შესაძლებელი იქნება მათი გახსნა, პროექტი კი მაისში დასრულდება. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში უკვე განხორციელდა ბიბლიოთეკარების ტრეინინგების 3 ფაზა. ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მსჯელობა პროექტის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ის ფორუმს ეტაპობრივად მიაწვდის სიახლეებს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა განათლების სამინისტროს მიერ აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის კომპეტენციის სააგენტოსთვის გადაცემის ვალდებულების შესახებ აღნიშნა, რომ პროექტის ვადები თავდაპირველად არარეალისტურად იქნა განსაზღვრული, ამ ეტაპისთვის კი უკვე დადგენილია 6 თვიანი ვადა, მიმდინარეობს პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობა და მაისისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისები ხელმისაწვდომი იქნება იუსტიციის სახლებში.

4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და აღნიშნულის გამარტივებული მექანიზმებით მიღების მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა სსიპ - საჯარო რეესტის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - რეესტრი) წარმომადგენელმა შოთა ჩაჩხუნაშვილმა. რეესტრის წარმომადგენელმა ფორუმს გააცნო სიახლე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ელექტრონულ საძიებო სისტემაში სასურველი ინფორმაციის მოძიების გამარტივებული მექანიზმების შემოღების შესახებ. ელექტრონული პროგრამის საძიებო სისტემის ფუნქციონალის განახლების შედეგად, მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, ვებგვერდზე www.reestri.gov.ge რეგისტრირებული სუბიექტის შესახებ მონაცემები დამატებითი პარამეტრების მიხედვით მოიძიოს. კერძოდ, საძიებო სისტემას დაემატა ბიზნეს სუბიექტების მონაწილეთა ძებნის ფუნქცია, რომელიც პარტნიორების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ მონაცემების ძებნის შესაძლებლობას იძლევა (პირების პირადი/საიდენტიფიფიკაციო ნომრების, სახელის/გვარის, მოქალაქეობის მითითების გზით). გარდა ამისა, რეგისტრირებული სუბიექტების ძებნა შესაძლებელი გახდა მათი ელექტრონული ფოსტის და რეგისტრაციის თარიღის მიხედვით. ბ-ნ ჩაჩხუნაშვილმა აღნიშნა, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონაცემთა საძიებო სისტემა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე მოიძიოს კომპანიის პარტნიორები და მიიღოს ინფორმაცია მათი წილობრივი მონაწილეობის

შესახებ, იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების შესახებ, გაეცნოს სარეგისტრაციო დოკუმენტაციას და მიიღოს მათი ელექტრონული ასლები.

ბ-ნ ჩაჩხუნაშვილი შეეხო დამცავი კოდების (CAPTCHA codes) დანერგვის თემასაც და ფორუმს განუმარტა, რომ სააგენტოში ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ სააგენტოს ვებგვერდიდან „რობოტი პროგრამების“ საშუალებით დიდი მოცულობის ინფორმაციის გენერირება ხდებოდა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა სააგენტოს ელექტრონული პროგრამების მუშაობას, საფრთხეს უქმნიდა მის გამართულ ფუნქციონირებას და ხელს უშლიდა მომხმარებლის მიერ ინფორმაციის სწრაფად მოძიების პროცესს. გატარებული ღონისძიებები კი დაიცავს სისტემას არასანქცირებული წვდომისგან.

5. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი - გადაწყვეტილების მიღება

ფორუმის მე-8 შეხვედრაზე ფორუმის მომხსენებელმა ქალბატონმა რუსუდან მიხელიძემ ფორუმს განსახილველად წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის სამუშაო ვარიანტი, რომელიც შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიერ OGP-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, OECD-ს და GRECO-ს, შეფასების მეთოდოლოგიების შესწავლის გზით. აღნიშნული დოკუმენტები კომენტარების მომზადებისა და მე-9 შეხვედრაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაეგზავნა ფორუმის წევრებს. 3 დეკემბრის შეხვედრაზე ფორუმმა ორივე დოკუმენტის განახლებული ვერსია განიხილა. ფორუმის წევრმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის წარმომადგენელმა, ბ-ნ დავით ალავერდაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია გამოყენებულ იქნეს შეფასების არა 4-საფეხურიანი, არამედ 5-საფეხურიანი სისტემა, რათა შეფასება კიდევ უფრო ზუსტი გახდეს და არ დატოვოს ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ფორუმის რამდენიმე წევრის მიერ ასევე გამოითქვა მოსაზრება შეფასების თითოეული საფეხურისთვის განისაზღვროს პროცენტული მნიშვნელობა, რაც შეფასების მექანიზმს უფრო ობიექტურს გახდის. ფორუმის მომხსენებელმა ქალბატონმა რუსუდან მიხელიძემ განმარტა, რომ სამდივნოს მიერ შემუშავებული შეფასების მოდელი უპირველესად ეყრდნობა თავად OGP-ის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც პარტნიორობის წევრი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მიერაც ერთხელ უკვე წარმატებით იქნა გამოყენებული და მასთან დაკავშირებით სირთულე არ შექმნია არც პასუხისმგებელ უწყებებს და არც სამდივნოს. ქ-ნ მიხელიძემ ასევე აღნიშნა, რომ OGP სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისას პრიორიტეტულია არა მათემატიკური სიზუსტით შედეგის ჩვენება, არამედ ანალიტიკური სურათის შექმნა, რის საშუალებასაც წარმატებით იძლევა 4-დონიანი შეფასების მექანიზმი. გარდა ამისა, აღნიშნული აპრობირებული მოდელია სხვადასხვა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი კვარტლის მონიტორინგის ჩარჩოს პილოტური ვერსიისთვის ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო პასუხისმგებელ უწყებებს შესთავაზებს 4-საფეხურიან შეფასების სისტემას. საპილოტე კვარტლის შემდგომ კი ფორუმი მიიღებს გადაწყვეტილებას შეფასების 5-საფეხურიან სისტემაზე გადასვლის საჭიროების შესახებ.

მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მოსაზრებით სასურველია, მონიტორინგის ჩარჩოს დაემატოს დონორთა დახმარების საჭიროების შესახებ ველი, რაც უწყებებს შესაძლებლობას მისცემს დროულად მოახდინონ პრობლემის იდენტიფიკაცია და აღნიშნულის ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოსთან კომუნიკაცია. მოსაზრებას დაეთანხმა მონაწილეთა სრული შემადგენლობა. განხილვის დასასრულს, ფორუმი შეთანხმდა კომენტარების გათვალისწინებით მონიტორინგისა და შეფასების განახლებული ვერსიის მიღებაზე. ფორუმი ასევე შეთანხმდა, რომ პასუხისმგებელი უწყებები ღია მმართველა საქართველოს სამდივნოს 2014 წლის შესახებ პროგრესის ანგარიშს 2015 წლის 11 იანვრამდე წარუდგენენ.

6. OGP კომუნიკაციის სტრატეგია - იდეების განხილვა; დონორთა მხარდაჭერა - უწყებათა საჭირობების განხილვა

დღის წესრიგის აღნიშნული ორი თემა ფორუმმა მომდევნო შეხვედრისთვის გადადო. თუმცა, ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: პასუხისმგებელი უწყებები ფორუმის მომდევნო შეხვედრამდე ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიაწოდებენ ინფორმაციას სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით დონორთა დახმარების საჭიროების შესახებ, სამდივნო კი, ამ საკითხზე იმუშავებს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად.

7. შეხვედრის შეჯამება

შეხვედრის დასასრულს ფორუმის მომხსენებელმა ქალბატონმა რუსუდან მიხელიძემ შეაჯამა ფორუმის 2014 წლის საქმიანობა.

განახლებული ფორუმის პირველი შეხვედრა 2014 წლის 15 იანვარს გაიმართა. ამავე შეხვედრაზე ფორუმმა მიიღო ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიერ შემუშავებული ფორუმის სახელმძღვანელო წესები და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის გეგმა. ფორუმი ამოქმედდა, როგორც ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმი. ფორუმმა ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავებას დაუთმო 2 გაფართოებული მრგვალი მაგიდა, ფორუმის 4 გეგმური და 2 ad hoc სხდომა. ჯამში, 2014 წელს ფორუმმა 9 სამუშაო შეხვედრა გამართა. გარდა ამისა, ფორუმმა შეიმუშავა 2014 წლის საჯარო კონსულტაციების გეგმა და 19 შეხვედრა გამართა საქართველოს მასშტაბით;

შეხვედრებს ერთობლივად მართავდნენ არასამთავრობო ორგანიზაციისა და პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენლები. 2014 წლის მიწურულს USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია, [1] რომლის ფარგლებშიც ღია მმართველობა საქართველოს შესახებ შეიქმნა ვიდეო რგოლი, დაიბეჭდა მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის სრული და მოკლე ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე და საქართველოს მასშტაბით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები. 2014 წელსვე ფორუმმა იმუშავა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბებაზე.

8. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

- ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო საბოლოო სახეს მისცემს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის დოკუმენტს და წარუდგენს ფორუმს;
- სამდივნო ფორუმს მიაწოდებს გიორგი კლდიაშვილის მიერ წარდგენილ პრეზენტაციას;
- 2014 წლის პროგრესის ანგარიშს პასუხისმგებელი უწყებები სამდივნოს 2015 წლის 11 იანვრამდე წარუდგენენ;
- პასუხისმგებელი უწყებები დონორთა საჭიროების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ფორუმის მომდევნო შეხვედრამდე;
- ფორუმის მორიგი სამუშაო შეხვედრა 2015 წლის 22 იანვარს გაიმართება.

9. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ზურაბ სანიკიძე, ქეთი ცანავა, დეა ცარციძე, ირმა ლოხიშვილი
სსიპ იუსტიციის სახლი	ნინო მურველაშვილი
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	შოთა ჩაჩხუნაშვილი
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ნიკოლოზ გაგნიძე
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო	თამთა ცოცხალაშვილი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	დიანა ჩომახაშვილი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ნათია გულუა
უზენაესი სასამართლო	თორნიკე გეწაძე; ლია მჭედლიშვილი
სსიპ შსს არქივი	დავით ალავერდაშვილი

[1] ცნობიერების ამაღლების კამპანია USAID-ის გრანტის ფარგლებში ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ხელმძღვანელობით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) განახორციელა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	საბა ბუაძე
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ზურაბ აზნაურაშვილი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სულხან სალაძე
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	გიორგი კლდიაშვილი, ნატა ძველიშვილი